აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №12

აბაშა, 2025 წლის 11 აგვისტო

ოქმი №12

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 11 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, ნანა შენგელია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინ კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე, ზეზვა მაკალათია, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით გუნია, ბაქარ შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია მიგინეიშვილი, შოთა ჭანტურაია, მეგული ჩოჩია, გენო მიმინოშვილი, ბაჩუკი ქვილითაია და კოკი ჩაჩავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დ. ცანავა. საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი თ. შოთაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 აგვისტოს მორიგი №12 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, რომ მიმდინარეობს სხდომის ფოტოგადაღება, ფოტოსურათები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე, რაც ეხება სხდომაზე დამსწრე არათანამდებობის პირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრე პირებს წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ.

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 აგვისტოს მორიგი №12 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 აგვისტოს მორიგი №12 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.
კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 აგვისტოს მორიგი №12 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21 -მა წევრმა.
წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №49 (თან ერთვის)

2

მოისმინეს:

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით,

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: გ. ხოშტარიამ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი თემის მერის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს - 21 მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №50 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: გ. ხოშტარია